საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №08

ქ. ბათუმი **29 ივნისი, 2017 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულს - გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრს ეწოდოს საგამოცდო ცენტრი და დამტკიცდეს მისი თანდართული დებულება **(დანართი 1).**
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 16 ივლისის N11 გადაწყვეტილება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული იქნეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები (საშტატო განრიგისა და ამ საშტატო ერთეულებზე დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად პერსონალის დანიშვნის, განთავისუფლების ან/და გადაყვანის თაობაზე).

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ხ ოლო გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს (ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრის პერსონალს).
5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 3 ივლისიდან.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტ. ზუბალაშვილის ქ. N30) ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

დანართი 1

დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 29 ივნისის N08 გადაწყვეტილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგამოცდო ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - საგამოცდო ცენტრის (შემდგომში - ცენტრის) ფუნქციებსა და საქმიანობის წესს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა აქტებით.
3. ცენტრი, კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტში გამოცდების ერთიანი სისტემის დანერგვა და სწავლის ხარისხის ამაღლება.
2. **ცენტრის ფუნქციებია:**

ა) უნივერსიტეტში ჩასატარებელი გამოცდების (პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების, მობილობის პროცესის თანხმლები გამოცდების, უცხო ენის ცოდნის განმსაზღვრელი და სხვა) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი ,,გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ შესაბამისად ორგანიზება და ჩატარება;

ბ) უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში საგამოცდო პროცესის გამართული ტექნიკური აღჭურვილობით და სამართლებლივ გარემოში წარმართვის ორგანიზება და ხელშეწყობა, მათ შორის სტუდენტთა უფლებების დაცვა, მათთვის გამოცდის ჩატარების წესის, ვადის და ფორმატის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის, გამოცდების შედეგების შესახებ ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდება.

გ) უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტზე საგამოცდო შეფასებების შესახებ

ელექტრონული ინფორმაციული ბაზის შექმნა;

დ) საგამოცდო ცენტრის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი წინადადებების წარდგენა და სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ორგანიზება;

ე) ფაკულტეტების დარგობრივი დეპარტამენტებიდან საგამოცდო მასალის (ტესტების, ბილეთების, დავალებების) წარმოდგენაზე, მათ შორის მათი განახლების ვადების დაცვის მონიტორინგი;

ვ) საქმიანობის გამჭირვალობისა და საჯაროობის პრინციპებზე დაყრდნობით წარმართვა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

მუხლი 3. ცენტრის პერსონალი

1.ცენტრის პერსონალს შეადგენს ცენტრის უფროსი, მთავარი სპეციალისტები და სპეციალისტები (ოპერატორები და ტექნიკოსები).

2. ცენტრის პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მათ შორის ცენტრის უფროსს - რექტორთან შეთანხმებით.

3. ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;

გ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორს;

დ) მოქმედებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზით ადასტურებს ან ითანხმებს ცენტრის ან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;

ვ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ზ) პერიოდულად ისმენს ცენტრის პერსონალის ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) წარადგენს წინადადებებს ცენტრის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების, ფუნქციების, პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;

ი) წარადგენს საქმიანობის ანგარიშს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

კ) კოორდინაციას უწევს საგამოცდო ცენტრში მიმდინარე გამოცდებზე დამკვირვებელთა და შესაბამისი სასწავლო კურსის/საგნის პერსონალის საქმიანობას, უნივერსიტეტში მოქმედი ,,გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ შესაბამისად;
ლ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს, ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში.

4. ცენტრის პერსონალის (უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული) სამუშაოთა აღწერილობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ცენტრის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დასახელების ან მათი რაოდენობის ცვლილება არ გამოიწვევს ამ დებულებაში ცვლილების შეტანას.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინიციატივით მიღებული წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.